სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

06 / ივნისი / 2024 წ.

KA021708522909724

№ **4/31649**

შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთის“ (ს/ნ 405273421)
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, ოფისი N28
ელ.ფოსტა: nina.gibbons@fujin.ge

თქვენი 06.06.2024 წლის წერილის (სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის № 72270/ფ) პასუხად, გიდასტურებთ სააგენტოს 04.06.2024 წლის № 4/31181 წერილით მოთხოვნილი შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენას.

სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

დიმიტრი შანიძე

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

04 / ივნისი / 2024 წ.

KA021773558462724

№ **4/31181**

შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთის“ (ს/ნ 405273421)
მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N71, ოფისი N28
ელ.ფოსტა: nina.gibbons@fujin.ge

თქვენი 2024 წლის 03 და 04 მაისის წერილების (სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) რეგისტრაციის № 70715/ფ და № 70998/04, 04.06.2024წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ სააგენტო შესაძლებლად მიიჩნევს, ხელშეკრულების 4.1.1 მუხლის გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებისათვის განგისაზღვროთ დამატებითი ვადა არაუგვიანეს 2024 წლის 11 ოქტომბრისა იმ პირობით, რომ არაუგვიანეს 2024 წლის 05 ივლისისა სააგენტოში წარმოდგენილი იქნება არანაკლებ 2025 წლის 11 თებერვლის ჩათვლით მოქმედი შესაბამისი ახალი/შეცვლილი საბანკო გარანტია. ასევე, სააგენტო არ არის წინააღმდეგი, მიმართოთ შესაბამის სახელმწიფო უწყებას მშენებლობის ნებართვის გაგრძელებასთან დაკავშირებით. გატყობინებთ, რომ წინამდებარე წერილით განსაზღვრული დამატებითი ვადა არ აჩერებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დინებას, რომელიც მყიდველს დაეკისრება 2024 წლის 12 ივლისიდან ვალდებულების ჯეროვნად შესრულების თარიღის ჩათვლით.

აქვე გაცნობებთ, რომ ხელშეკრულების 4.1.2 მუხლის გათვალისწინებით, ხელშეკრულების 5.5 მუხლით განსაზღვრული აუდიტორული დასკვნა სააგენტოში წარმოდგენილ უნდა იქნას ამავე წერილით განსაზღვრული დამატებითი ვადის ამოწურვიდან 45 კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული ველდებულებები შესრულდება წინამდებარე წერილით განსაზღვრულ დამატებით ვადაზე ადრე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასკვნა წარმოდგენილი უნდა იქნეს ვალდებულების შესრულების თარიღიდან 45 კალენდარული დღის ვადაში.

მყიდველის მიერ ნაკისრი, დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულებებულებ(ებ)ის წინამდებარე წერილში მითითებულ ვადაში (11.10.2024 წ.) შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შესაბამისი პასუხისმგებლობა.

სააგენტოს ყველა უფლება ცალსახად შენარჩუნებულია.

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

გიორგი დუგლაძე

შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთის“

“Fujin Silk Properties” LLC

და

and

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“

LEPL National Agency of State Property

ნასყიდობის ხელშეკრულება

SALES AGREEMENT

11/07/2018

თბილისი, საქართველო

Tbilisi, Georgia

სსიპ **„სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“** (შემდეგში **„გამყიდველი“**), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურიდიული მრჩევლის ქეთევან პეტრიაშვილის (პირადი №01008046843) სახით, მოქმედი სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თავმჯდომარის მიერ 2018 წლის 10 იანვარს გაცემული №4/1650 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, და,	**LEPL “National Agency of State Property”** (hereinafter, the “**Seller**”), represented by the Advisor of the Legal Provision Unit of the Legal Department Mrs. Ketevan Petriashvili (Personal No. 01008046843), acting on the basis of the Power of Attorney No. 4/1650 issued by the Chairman of LEPL National Agency of State Property on 10 January 2018, and
შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთის“ (ს/ნ 405273421) (შემდეგში **„მყიდველი“**), წარმოდგენილი ეკატერინე დანელიას (პ/ნ 01011074431) სახით, მოქმედი შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთის“ დირექტორის ჯონ დიამან ტეო დოდელანდის (პ/ნ 01101125904) მიერ მინდობილობით (სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი 73537599404518; სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №180621618) მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, (შემდეგში, „გამყიდველი“ და „მყიდველი“ თითოეული წოდებული როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად როგორც „მხარეები“),	**„Fujin Silk Properties“ LLC** (ID/C: 405273421) (hereinafter, the **“Purchaser”**) represented by Ekaterine Danelia (Personal No. 01011074431), acting on the basis of the Power of Attorney (individual number of the notarial act 73537599404518; registration number of the notarial act №180621618) issued by the Director of the „Fujin Silk Properties“ LLC, John Diamant Theo Dodelande (personal number 01101125904) (hereinafter, the “**Seller**” and the **“Purchaser”** separately referred to as the “**Party**” and jointly referred to as the “**Parties**”),
ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში, „ხელშეკრულება“) და ვხელმძღვანელობთ „სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს კანონით, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით, „ქალაქ თბილისში, აეროპორტში მდებარე 12 653.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 02 მაისის №1/1-1027 ბრძანებითა და №323 ელექტრონულ აუქციონში (შემდეგში - „აუქციონი“) გამარჯვების დადასტურებით (№2018050264918).	enter into the following Sales Agreement (hereinafter, the “Agreement”), based on the Law of Georgia on State Property, Order №1-1/172 of the Minister of Economy and Sustainable Development of Georgia, dated February 10, 2011 on “Approval of the Rules for conducting the electronic auction for Disposal and the right to use of State Property”, Order №1/1-1027 of the Head of the LEPL – National Agency of State Property, dated May 02, 2018 on “Privatization of 12653.00 sq.m non-agricultural land Plot with building №1 on it, located in the city of Tbilisi, in the Airport by Conditional Electronic Auction” and Confirmation №2018050264918 of winning the electronic auction №323 (hereinafter, **“Auction”**).

მუხლი 1. დეფინიციები	**Article 1. Definitions**
ბრძანება - „ქალაქ თბილისში, აეროპორტში მდებარე 12 653.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 02 მაისის №1/1-1027 ბრძანება.	**Order** - Order №1/1-1027 of the Head of the LEPL – National Agency of State Property, dated May 02, 2018 on “Privatization of 12653.00 sq.m non-agricultural land Plot with building №1 on it, located in the city of Tbilisi, in the Airport by Conditional Electronic Auction”.
ელექტრონული აუქციონის დასრულების თარიღი - 2018 წლის 31 მაისი, როდესაც „მყიდველმა“ გაიმარჯვა „ბრძანების“ საფუძველზე გამოცხადებულ №323 ელექტრონულ აუქციონში.	**The end date of the electronic auction** – May 31, 2018, when the “Purchaser” won the electronic auction №323 conducted in accordance with the “Order”.
ქონება - ქალაქ თბილისში, აეროპორტში მდებარე 12653.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.19.30.001.261).	**Property** - 12653.00 sq.m non-agricultural land Plot with building №1 on it, located in the city of Tbilisi, in the Airport (cadastre code №01.19.30.001.261).
საპრივატიზებო თანხა - თანხა, რომელიც შედგება საპრივატიზებო შემოსულობის და „გამყიდველის“ ანაზღაურებისგან და რომლის სრული ოდენობაა 1 851 000 (ერთი მილიონ რვაას ორმოცდათერთმეტი ათასი) ლარი.	**Privatization Sum** – 1 851 000 (One million eight hundred and fifty-one thousand) GEL, which consists of privatization income and Seller’s compensation.
საჯარო რეესტრი - სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“.	**Registry** - LEPL „National Agency of Public Registry“
მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი	**Article 2. Subject of the Agreement**
2.1. „გამყიდველი“ „მყიდველს“ გადასცემს „ქონებაზე“ საკუთრების უფლებას „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით.	2.1. The Seller transfers the Property into the ownership of the Purchaser, under the condition that the Purchaser fulfills obligations set out by the Agreement.
2.2. „მყიდველისათვის“ ცნობილია „აუქციონის“ შეწიშვნაში მითითებული გარემოებების შესახებ და აღნიშნულთან დაკავშირებით „გამყიდველის“ მიმართ რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება არ გააჩნია.	2.2. The Purchaser is aware of the circumstances mentioned in the notice of “Auction” and does not have any claims to the “Seller” regarding this.

მუხლი 3. საპრივატიზებო თანხა და მისი გადახდის წესი	**Article 3. Privatization Sum and the Payment Method**
3.1. „მყიდველი“ ვალდებულია გადაიხადოს „საპრივატიზებო თანხა“ „ელექტრონული აუქციონის დასრულების თარიღიდან“ 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში.	3.1. The Purchaser shall pay the Privatization Sum no later than 45 (forty five) calendar days from The end date of the electronic auction.
3.2. საპრივატიზებო თანხის გადახდა „მყიდველის“ მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, წინამდებარე მუხლში მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით ან ამავე საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანის გზით:	3.2. The payment of the Privatization Sum shall be made via bank transfer, to the bank account as indicated in this article or shall be deposited /placed in the same bank account:
სალარე ანგარიში: ანგარიშის დასახელება (მიმღები): სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ ანგარიშის ნომერი: GE50BG0000000655067100, ანგარიშის ვალუტა: ლარი მიმღები ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“, მიმღების კოდი: BAGAGE22	**GEL Account:** The account name (recipient): LEPL “National Agency of State Property” Account number: GE50BG0000000655067100 Account currency: GEL Recipient bank: Georgian Bank JSC Recipient code: BAGAGE22
ამასთან, ყოველგვარი ბუნდოვანების თავიდან არიდების მიზნით ზუსტდება, რომ წინამდებარე მუხლის მიხედვით საპრივატიზებო თანხის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვა ან შეტანა ამავე საბანკო ანგარიშზე გულისხმობს თანხის „გამყიდველის“ საკუთრებაში გადასვლას და არ დაუბრუნდება „მყიდველს“.	Herewith, for the purpose of avoiding any doubt, it is specified, that transferring or depositing/placing privatization sum in the bank account according to this article means transferring money to the Sellers ownership and will not be returned to the Purchaser.
3.3. „ხელშეკრულების“ 3.2. მუხლში მითითებული საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, „გამყიდველი“ წერილობით აცნობებს „მყიდველს“.	3.3. The Seller shall notify the Purchaser in writing of the changes in the bank account indicated in article 3.2. of the Agreement.
3.4. „საპრივატიზებო თანხა“ „მყიდველის“ მიერ გადახდილად მიიჩნევა შესაბამის საბანკო ანგარიშზე ასახვის მომენტიდან.	3.4. The Privatization Sum shall be considered to be paid by the Purchaser since the moment the payment is reflected on the relevant bank account.
3.5. „მყიდველმა“ „საპრივატიზებო თანხის“ გადახდისას უნდა მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების №1 დანართით გათვალისწინებული ერთ-ერთი რეკვიზიტი იმგვარად, რომ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით დგინდებოდეს თანხის გადახდის მიზნობრიობა.	3.5. While paying the Privatization Sum, the Purchaser shall indicate one of the requisites envisaged in the №1 annex of the Agreement in such a manner that the aim of the payment should be clear from the payment document.

3.6. „მყიდველის" მიერ გადახდილი ბეს თანხა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ითვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.	3.6. The earnest money paid (if any) by the Purchaser shall be counted in the final payment.
მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები	**Article 4. The rights of the parties**
4.1. „მყიდველი" ვალდებულია:	4.1. The Purchaser shall:
4.1.1. პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, „ხელშეკრულების" გაფორმებიდან არაუმეტეს 48 (ორმოცდარვა) თვის ვადაში, უზრუნველყოს „ქონებაზე" ან მის ნაწილზე არანაკლებ 120 (ას ოცი) ნომრის მქონე სასტუმროს შექმნა (აშენება, ექსპლუატაციაში მიღება და ფუნქციონირების დაწყება).	4.1.1. Personally or by the virtue of the third party no more than 48 (Forty-four) months from signing the Agreement ensure creation (construction, acceptance for exploitation and start functioning) a hotel with no less than 120 (one hundred and twenty) rooms on the "Property" or on the part of it.
4.1.2. „ხელშეკრულების" 4.1.1. მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, აღნიშნული ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა „გამყიდველს" წარუდგინოს „ხელშეკრულების" 5.5. მუხლით განსაზღვრული აუდიტორული დასკვნა;	4.1.2. For the purposes of confirming the fulfillment of obligation set out in article 4.1.1 of the "Agreement" submit to the Seller the audit report envisaged in article 5.5 of the "Agreement" no later than 45 (forty five) calendar days from the expiration of the term envisaged in article 4.1.1. of the "Agreement".
4.1.3. დაიცვას „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები და „გამყიდველის" წერილობითი მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, „გამყიდველს" წარუდგინოს ინფორმაცია „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის/სტადიის შესახებ. ამასთან, ყოველგვარი ბუნდოვანების თავიდან არიდების მიზნით, წინამდებარე მუხლის საფუძველზე ინფორმაციის წარდგენა არ გულისხმობს „ხელშეკრულების" 5.5 მუხლით გათვალისწინებული აუდიტორული დასკვნის წარდგენას.	4.1.3. Follow the terms of the Agreement and submit to the Seller the information on the condition/stage of performance of obligations set out in the Agreement, immediately upon writing request, but no later than 30 (thirty) calendar days upon receiving such request. For the avoidance of any doubt, the obligation to submit information according to this article shall not be considered to be the obligation of submitting the audit report envisaged in article 5.5 of the "Agreement".
4.1.4. დაფაროს „ქონებაზე" საკუთრების უფლების და „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების „საჯარო რეესტრში" რეგისტრაციის, აგრეთვე, „ხელშეკრულების" გაფორმებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯ(ებ)ი.	4.1.4. Bear the costs related to the registration fee(s) of the ownership right as well as obligations at the "Registry", also any other costs related to the conclusion of the agreement.
4.2. „გამყიდველი" ვალდებულია „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის	4.2. The Seller shall issue a written confirmation of partial or full performance of the Purchaser's obligations within 30 (thirty) calendar days upon submitting relevant document(s) by the Purchaser in

შემთხვევაში, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაადასტუროს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების მიღება, რაც „საჯარო რეესტრში“ შესაბამისი ვალდებულების მოხსნის ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.

accordance with the Agreement. The confirmation is the ground for amending or terminating the relevant obligation's registration at the Registry.

მუხლი 5. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

5.1. „მყიდველს“ „ქონებაზე“ საკუთრების უფლება გადაეცემა „ხელშეკრულების“ გაფორმების და საკუთრების უფლების „საჯარო რეესტრში” რეგისტრაციის მომენტიდან. ამასთან, „ქონებაზე“ საკუთრების უფლება „მყიდველს“ გადაეცემა „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

Article 5. Special Terms of the Agreement

5.1. The ownership right in relation to the Property shall be transferred to the Purchaser at the moment of signing the Agreement and registering the ownership right at the Registry. Additionally, the ownership right in relation to the Property shall be transferred to the Purchaser upon the condition that the Purchaser performs the obligations undertaken by the Agreement.

5.2. „ქონებაზე“ საკუთრების უფლებასთან ერთად „საჯარო რეესტრში“ რეგისტრირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულება.

5.2. In addition to the ownership right in relation to the Property, the obligations provided for in the Agreement, including the obligation to pay the Privatization Sum, shall also be registered at the Registry.

5.3. „მყიდველს“ „ქონება“ მფლობელობაში გადაეცემა საკუთრების უფლების „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციის მომენტიდან.

5.3. The Property shall be transferred into the possession of the Purchaser since the moment of registering the ownership right at the Registry.

5.4. „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება „გამყიდველის“ მიერ მათი შესრულების წერილობით ან ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან. ამასთან, ელექტრონულად შესაძლებელია დადასტურდეს მხოლოდ „ხელშეკრულების“ 3.1. მუხლში მითითებული ვალდებულების შესრულება.

5.4. The obligations provided for in the Agreement shall be considered to be fulfilled since the moment the Seller confirms in writing or electronic form the fulfillment by the Purchaser of such obligations. Only in case of the obligation set out in article 3.1 of the Agreement is the Seller entitled to confirm its fulfillment in electronic form.

5.5. „ხელშეკრულების“ 4.1.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულების დადასტურება განხორციელდება შესაბამისი აუდიტორული დასკვნის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს რწმუნებას შესაბამისი ვალდებულების შესრულების თაობაზე და გაცემული უნდა იყოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული აუდიტორული ფირმის მიერ.

5.5. The fulfillment of obligation set out in article 4.1.1 of the Agreement will be confirmed on the basis of the relevant audit report which shall evidence the fulfillment of the relevant obligation and should be issued by an audit company envisaged in the paragraph 7 of article 14 of the law of Georgia on "accounting, reporting and audit".

5.6. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „მყიდველის“ მიერ „ქონების“ გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი” ვალდებულია „ქონება“ ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო „ხელშეკრულებით“. „ქონების“ გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს“.	5.6. In case the Purchaser sells the Property after the payment by the Purchaser of the Privatization Sum, provided for in the Agreement, during the term of the Agreement, the Purchaser shall sell the Property under the same conditions as foreseen in the Agreement. The Seller shall be notified in writing about the alienation of the Property.
5.7. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის“ გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „მყიდველის“ მიერ „ქონების“ ნაწილის გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი“ ვალდებულია ქონების ნაწილი ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებით“. ამასთან, ახალი მესაკუთრე „მყიდველთან” ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. „ქონების“ ნაწილის გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს“.	5.7. In the event that the Purchaser transfers the right of ownership over the part of the Property to a third party after the payment by the Purchaser of the Privatization Sum, provided for in the Agreement, during the term of the Agreement, the Purchaser shall transfer the right of ownership over the part of the Property to a third party under the same conditions as foreseen in the Agreement. In addition, the new owner shall be jointly liable with the Purchaser for the fulfillment of the obligations under the Agreement. The Seller shall be notified in writing about the alienation of the part of the Property.
5.8. „მყიდველი“ უფლებამოსილია, „გამყიდველის“ წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით, იპოთეკით დატვირთოს „ქონება“. ამასთან, „ქონების“ იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში იპოთეკარის მიმართ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო იპოთეკით დატვირთული ქონების იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლისას ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით რეალიზაციისას (მიუხედავად ასეთი რეალიზაციის ფორმისა) ახალ და ყოველ შემდგომ მესაკუთრეზე სრულად გადადის „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მყიდველის“ ვალდებულებები.	5.8. The Purchaser is entitled to place the Property under a mortgage for the purpose of guaranteeing the fulfillment of the privatization obligations in case of the written consent of the Seller thereof. In the event that the Property is placed under a mortgage and the right of ownership over the Property under a mortgage is transferred to the mortgagee due to the dissatisfaction of claims secured by the mortgage towards the mortgagee or the Property is disposed (regardless of a form of the disposal) according to procedures stipulated by the Law of Georgia on Enforcement Proceedings or the Civil Code of Georgia, a new and every subsequent owner shall be responsible for the fulfillment of the obligations undertaken by the Agreement.
5.9. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდამდე, „მყიდველს“ არ აქვს უფლება „ქონება“ გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს „ხელშეკრულების“ 5.8.	5.9. The Purchaser shall not be entitled to encumber the Immovable Property with the right to use or encumber otherwise before the payment of the Privatization Price except for cases when the Purchaser is entitled to place the Immovable Property under a mortgage in accordance with

მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა.

5.10. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „მყიდველს“ უფლება არ აქვს „გამყიდველთან“ შეთანხმების გარეშე „ქონება“ გასცეს სარგებლობაში ან სხვაგვარად დატვირთოს.

5.11. „მყიდველი“ არ თავისუფლდება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული შესაბამისი პასუხისმგებლობისაგან „ხელშეკრულებით“ ნაკისრი შესაბამისი ვალდებულებების შესასრულებლად გამოყენებული მესამე პირ(ებ)ის იმ ქმედებ(ებ)ისათვის, რამაც გამოიწვია აღნიშნული ვალდებულებების დარღვევა. ამასთან, ყოველგვარი ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით ზუსტდება, რომ მესამე პირებში იგულისხმებიან ის პირები, რომლებსაც „მყიდველი“ 4.1.1. მუხლის შესაბამისად შეარჩევს ამავე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველი” იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების შესახებ და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც პირგასამტეხლოს თანხა უნდა იქნეს გადახდილი.

6.2. „ხელშეკრულების“ 3.1. მუხლით განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

article 5.8 of the Agreement.

5.10. The Purchaser shall not be entitled to encumber the Immovable Property with the right to use or encumber otherwise after the payment of the Privatization Price, within the validity period of the "Agreement" without the consent of the Seller.

5.11. The "Purchaser" shall not be exempt from the relevant responsibilities set out in the "Agreement", when the breach of obligations is caused by the action(s) of third party(s) who are involved in the fulfillment of relevant obligations. Herewith, for the purpose of avoiding any doubt, it is specified, that third parties are persons, selected by the Purchaser according to article 4.1.1 to fulfill the obligation set out in the same article.

Article 6. Liabilities of the Parties and Termination of the Agreement

6.1. If the Purchaser fails to fulfill the obligations undertaken by the Agreement the Purchaser shall receive a written notice prescribing the term for remedying a breach, the amount of penalties to be paid and the details of the bank account for the payment of the penalties.

6.2. If the Purchaser fails to fulfill or unduly fulfills the obligation to pay the Privatization Sum under Article 3.1 of the Agreement the Purchaser shall pay a penalty in the amount of 0,1% of the remaining sum for each delayed day since the date of the breach.

6.3. „ხელშეკრულების“ 4.1.1. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.	6.3. If the Purchaser fails to fulfill or unduly fulfills the obligation set forth in Article 4.1.1 of the Agreement the Purchaser shall pay a penalty in the amount of 500 (five hundred) Georgian Lari for each delayed day since the date of the breach.
6.4. „ხელშეკრულების“ 4.1.2. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.	6.4. If the Purchaser fails to fulfill or unduly fulfills obligation set forth in Article 4.1.2. of the Agreement the Purchaser shall pay a penalty in the amount of 50 (fifty) Georgian Lari for each delayed day since the date of the breach.
6.5. „ხელშეკრულების“ 4.1.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების თითოეულ ჯერზე შეუსრულებლობის შემთხვევაში „მყიდველს“ ეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.	6.5. If the Purchaser fails to fulfill the obligation set forth in Article 4.1.3 of the Agreement the Purchaser shall pay one time penalty in the amount of 500 (five hundred) Georgian Lari in each case.
6.6. „მყიდველის” მიერ „ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით (დამატებით ვადაში) შეუსრულებლობის ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, „გამყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს „ხელშეკრულება“.	6.6. If the Purchaser fails again (during the additional term) to fulfill the obligations provided for in the Agreement or/and fails to pay the penalty during the defined term, the Seller shall be entitled to unilaterally terminate the Agreement.
6.7. „ხელშეკრულების“ ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, „ქონება“ ბრუნდება სახელმწიფო საკუთრებაში. „მყიდველს“ არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები, ხოლო „ქონებაზე“ რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება.	6.7. In case of the unilateral termination of the Agreement, according to the terms defined in this Agreement, the Property shall be returned to the ownership of the state. The Purchaser shall not be reimbursed any amounts paid and expenses borne and the right (rights) to the mortgage of a third party (parties), registered in relation to the Property, shall be cancelled.
6.8. „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მყიდველს“ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.	6.8. During the term of the Agreement, the payment of the penalties does not discharge the Purchaser of the obligations under the Agreement.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება „გამყიდველის“ ან „მყიდველის” კონტროლის ფარგლებს და შესაბამის „მხარეს“ არ შეეძლო მისი წინასწარ განჭვრეტა ან/და თავიდან აცილება და რომლის დადგომაც „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის. „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის ფორს-მაჟორული გარემოება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მოვლენით.

7.2. „მხარე”, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია, აცნობოს მეორე „მხარეს” ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მხარე” კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ფორს-მაჟორული მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ „მხარის” მიერ „ხელშეკრულებით” განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

Article 7. Force-majeure

7.1. The Parties shall not be liable for the non-fulfillment or improper fulfillment of the obligations under the Agreement, if such non-fulfillment or improper fulfillment is caused by the force-majeure events. For the purposes of the Agreement, the force-majeure events shall include events and occurrences, which are beyond the control of the Seller or the Purchaser, the relevant Party was not able to foresee and avoid it and the occurrence of which makes the fulfillment of the obligations under the Agreement impossible and which, includes, but is not limited to, natural disasters, discovery of archeological and/or other various historical objects on the territory of the Property (underground or above the ground) and due to this the Lessee is unable to conduct construction and/or functioning of the sport-health recreation complex, manifestations, sabotage and other types of obstacles to the production, civil unrest, war (whether declared or not), or other military, terroristic or partisan event, a blockage, a riot, earthquakes, avalanches or other events.

7.2. The party that fails to fulfill the obligations due to the force-majeure event, is obliged to inform the other party regarding the event or occurrence, as well as its termination at least 10 (ten) days from its beginning or termination. If the party fails to do so, it shall waive its right to rely on such events and occurrences, in order to escape the liability for the non-fulfillment or improper fulfillment. Any such notice shall include the description of the force majeure event or occurrence and their influence on the fulfillment of the obligations by the party, as well as, the expected delay of the fulfillment of such obligations.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში „მხარეების" მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

7.3. If the force-majeure events are confirmed, the term of the fulfillment of contractual obligations by the parties shall be extended according to the duration of the force-majeure event.

7.4. ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

7.4. The term shall be renewed from the termination of the force-majeure event, which represented the basis for the suspension of the contractual obligations. The remaining term shall be continued according to the suspension.

7.5. ფორს-მაჟორული გარემოებების 3 (სამი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, „მხარეები" უფლებამოსილნი არიან განიხილონ „ხელშეკრულების" შეწყვეტის საკითხი.

7.5. In case of the continuation of the force-majeure events for more than 3 (three) months, the parties are authorized to consider the termination of the Agreement.

მუხლი 8. შეტყობინებები

8.1. ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა „მხარეებს" შორის უნდა განხორციელდეს წერილობით, ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნეს პირადად ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

Article 8. Notices

8.1. Any notice or correspondence between the parties shall be in writing, in Georgian language and shall be handed in person or sent by courier, to the addresses provided below or other addresses as notified by the parties.

8.2. „ხელშეკრულების" მიზნებისათვის, „მხარეთა" რეკვიზიტებია:

8.2. For the purposes of the Agreement, the requisites of the Parties shall be as follows:

8.2.1. **„გამყიდველის" შემთხვევაში:**

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზირი №49ა, ქ. თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 298 11 11 / +995 32 299 11 11

8.2.1. **For the Seller:**

LEPL National Agency of State Property

Address: 49a, I. Chavchavadze avenue, Tbilisi, Georgia

Tel: +995 32 298 11 11 / +995 32 299 11 11

8.2.2. **„მყიდველის" შემთხვევაში:**

შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთის"

მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, ბლოკი 4, სართული 4, ოფისი 28.

ტელ: 596 688 888

8.2.2. **For the Purchaser:**

„Fujin Silk Properties" LLC

AddressOffice 28, floor 4, block 4, 71 Vazha-Pshavela Ave. Tbilisi, Georgia

Tel: 596 688 888

8.3. „მყიდველი“ ვალდებულია, შეატყობინოს „გამყიდველს“ მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის, მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, „გამყიდველის“ მიერ „მყიდველის“ ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის, წერილობითი გაფრთხილება, ჩაითვლება ჩაბარებულად.	8.3. The Parties shall notify each other about the changes in their identification data, including the change of address, at least 10 (ten) calendar days in advance from the execution of such changes. Otherwise, any correspondence sent to the old address from the party to the other party, including the written notice, shall be considered to be delivered.
8.4. „ხელშეკრულების“ 8.3. მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, თუ ზედიზედ ორჯერ ვერ მოხდება „გამყიდველის“ მიერ „მყიდველის“ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარება, კორესპონდენცია ჩაითვლება „მყიდველისათვის“ ჩაბარებულად მისი „გამყიდველისათვის“ ხელმეორედ დაბრუნების დღიდან.	8.4. Except for article 8.3 of the Agreement, if the Seller fails to deliver the correspondence/written notice to the Purchaser twice, the correspondence/written notice shall be considered to be received by the purchaser on the date of the second delivery to the Seller”.
მუხლი 9. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა	**Article 9. Applicable Law and Dispute Resolution**
9.1. „ხელშეკრულება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.	9.1. The Agreement shall be regulated and governed in accordance with the Georgian legislation.
9.2. „მხარეთა“ შორის დავის არსებობის შემთხვევაში, დავას წყვეტს საქართველოს საერთო სასამართლოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.	9.2. Any dispute between the Parties shall be settled by common courts of Georgia in accordance with the Georgian legislation.
მუხლი 10. სხვა დებულებები	**Article 10. Miscellaneous**
10.1. „ხელშეკრულებაში“ ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა დასაშვებია მხარეთა წერილობითი თანხმობით, „ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანის გზით, რომლისთვისაც დაცული უნდა იყოს იგივე ფორმა, რაც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებისთვის“.	10.1. Any amendment or/and addition may be made to the Agreement on the basis of a written consent of the Parties by means of making amendments to the Agreement in the same manner as foreseen in the Agreement.
10.2. „ხელშეკრულების“ ყველა ცვლილება/დამატება და/ან დანართი წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს.	10.2. Any amendments/additions and/or annexes represent integral part of the Agreement.
10.3. სათაურები „ხელშეკრულებაში“ მოცემულია მითითების გაადვილების მიზნით და არ	10.3. The titles in the Agreement are solely provided for the convenience and shall not affect the interpretation of the terms of the Agreement.

იქონიებს ზემოქმედებას რაიმე სახით მოცემული პირობების ინტერპრეტაციაზე.

10.4. „ხელშეკრულება“ გაფორმებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა „მხარეებს“ და „საჯარო რეესტრს“. **„ხელშეკრულების“ ქართულ და ინგლისურ ვარიანტებს შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ვარიანტს.**

10.5. „ხელშეკრულება“ გაფორმებულად ითვლება „მხარეთა“ მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

10.6. „ხელშეკრულების“ ხელმოწერისას თარჯიმნის მომსახურება გასწია თამარ ჟღენტმა (პ/ნ 01009018473) და მხარეები თანახმა არიან ისარგებლონ ხსენებული თარჯიმნის მომსახურებით.

ხელმოწერები:
„გამყიდველი“:
სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
წარმომადგენელი:
ქეთევან პეტრიაშვილი

„მყიდველი“:
შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთის“
წარმომადგენელი:
ეკატერინე დანელია

თარჯიმანი: თამარ ჟღენტი

10.4. The Agreement is executed in the Georgian and English languages in three copies having equal legal force, which shall be transferred to the Parties and the Registry. **In the event of discrepancy between the English and Georgian texts, the Georgian version shall prevail.**

10.5. The Agreement is considered concluded upon its signature by the Parties.

10.6. Within the procedure for execution of this Agreement, translation services is conducted by interpreter Tamar Zhgenti (P/N 01009018473) and the Parties agree to use services of this translator.

Signatures:
For the Seller:
LEPL "National Agency of State Property"
Representative:
Ketevan Petriashvili

For the Purchaser:
„Fujin Silk Properties“ LLC
Representative:

Ekaterine Danelia

Translator: Tamar Zhgenti

დანართი №1:

„მყიდველის“ მიერ ანგარიშსწორებისას მისათითებელი რეკვიზიტები:

1. ხელშეკრულების გაფორმების თარიღი

2. მხარის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი

3. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი

Annex №1:

The requisites which the Purchaser shall indicate while paying the Privatization Sum:

1. The date of signing the Agreement.

2. The name of the Purchaser and its identification code.

3. Cadastral code of the Property.

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.19.30.001.261

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892018330884 - 20/04/2018 13:57:22

მომზადების თარიღი
20/04/2018 14:45:26

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	სამგორი		
01	**19**	**30**	**001/261**

მისამართი: ქალაქი თბილისი , აეროპორტი

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 12653.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **01.19.30.001.166;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი **892018330884** , თარიღი **20/04/2018 13:57:22**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი **20/04/2018**

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N1/1-902 , ღამოწმების თარიღი:20/04/2018 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
სახელმწიფო

მესაკუთრე: აღწერა:
სახელმწიფო

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:


რეგისტრირებული არ არის


მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

საკადასტრო კოდი: **01.19.30.001.261**
განცხადების ნომერი: **892018318498**
მომზადების თარიღი: **17/04/2018**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**
ფართობი: **12653 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**




საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო
NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY
ქალაქი თბილისი , აეროპორტი
01.19.30.001.261
12653 კვ.მ
110
496400
496600
496800
497000
497200

ხელშეკრულება	Agreement
სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთისს“ შორის 2018 წლის 11 ივლისს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე	**on amending Sales Agreement executed on July 11th, 2018, between LEPL National Agency of State Property and "Fujin Silk Properties" LLC**
საქართველო, თბილისი	**Georgia, Tbilisi**
16 თებერვალი, 2022 წელი	**16 February, 2022**
ერთი მხრივ, **სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** (შემდეგში, **„გამყიდველი“**) წარმოდგენილი სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის იურიდიული მრჩევლის, ქეთევან ჯანელიძის (პ/ნ: 01008054560) სახით, მოქმედი სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თავმჯდომარის მიერ 2022 წლის 11 თებერვალს გაცემული №4/7351 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,	On one hand, **LEPL "National Agency of State Property"** (hereinafter, the "Seller"), represented by Advisor of the Legal Provision Unit of the Legal Department Ketevan Janelidze (P/N 01008054560), acting under and according to the Power of Attorney №4/7351 issued by the Chairman of the LEPL - National Agency of State Property on February, 11.
და მეორე მხრივ, **შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთის“** (ს/ნ 405273421) (შემდეგში, **„მყიდველი“**) წარმოდგენილი ირაკლი ხვთისიაშვილის (პ/ნ 01030028410) მიერ, მოქმედი შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთისის“ 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორისა და დირექტორის, ჯონ დიამან ტეო დოდელანდის (პ/ნ: 01101125904) მიერ 2020 წლის 23 იანვარს გაცემული მინდობილობის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: №200071696; სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი: № 97868489729920) საფუძველზე,შემდეგში თითოეული წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები“,	And on the other hand, **„Fujin Silk Properties“LLC** (ID/C: 405273421) (hereinafter, the "**Purchaser**") represented by Irakli Khvtisiashvili (P/N 01030028410), acting under the Power of Attorney: Registration N 200071696; Individual Number of the Notaria Act 97868489729920, issued by 100% shareholder and director of Fujin Silk Properties LLC, on January 23, 2020. separately referred to as the "Party" and jointly referred to as the "Parties"
ვხელმძღვანელობთ რა „შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთისის“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 იანვრის №121 განკარგულებითა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთისს“ შორის 2018 წლის 11 ივლისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით (შემდეგში - **„ნასყიდობის ხელშეკრულება“**), ვდებთ წინამდებარე ცვლილების ხელშეკრულებას (შემდეგში - **„ცვლილების ხელშეკრულება“**) შემდეგზე:	Guided by the Ordinance N. 121 of the Government of Georgia of January 25, 2022, on "Implementation of several measures to facilitate the activities of Fujin Silk Properties LLC" and Sales Agreement executed on July 11th, 2018, between LEPL National Agency of State Property and "Fujin Silk Properties" LLC (hereafter- **"Sales Agreement"**), concluding this amendment agreement (hereafter – **"Amendment Agreement"**) on the following:

მუხლი 1.	**Article 1.**
1.1. „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 4.1.1. მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:	**1.1 Article 4.1.1 of the Sales Agreement shall be amended and restated as follows:**
„4.1.1. პირადად ან მესამე პირის მეშვეობით უზრუნველყოს:	4.1.1. Personally, or through the third party ensure:
ა) არაუგვიანეს 2024 წლის 11 ივლისისა, „ქონების“ ან მისი ნაწილის განვითარება (რაც მოიცავს, მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს, არანაკლებ 60 ნომრის მქონე სასტუმროსა და მრავალფუნქციური კომპლექსის აშენებას, შესაბამისი შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღებასა და სასტუმროს ფუნქციონირების დაწყებას);	a) Development of the Property or the part of the Property (that includes, but may not be limited to construction of hotel with not less than 60 rooms and multifunctional complex, commissioning of the relevant buildings and starting the operation of the hotel) no later than 11 July 2024;
ბ) „ხელშეკრულების“ 4.1.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, არანაკლებ 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ოდენობის ინვესტიციის (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინების გარეშე) განხორციელება;“	b) To make an investment of at least GEL 5,000,000 (five million) (excluding value added tax) in order to fulfill the obligation, set under sub-article a) of the Article 4.1.1 of the Agreement;
1.2. „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 4.1.2 მუხლები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:	**1.2 Article 4.1.2 of the Sales Agreement shall be amended and restated as follows:**
„4.1.2 ა) „ხელშეკრულების“ 4.1.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, ამავე ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა „გამყიდველს“ წარუდგინოს „ხელშეკრულების“ 5.5 მუხლით განსაზღვრული აუდიტორული დასკვნა;	4.1.2. a) For the purposes of confirming the fulfillment of the obligation set out in sub-article a) of the Article 4.1.1 of the Agreement submit to the Seller the audit report envisaged in Article 5.5 of the Agreement no later than 45 (forty-five) calendar days from the expiration of the term set for the fulfilment of the said obligation;
ბ) „ხელშეკრულების“ 4.1.1. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, „ხელშეკრულების“ 4.1.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღისა „გამყიდველს“ წარუდგინოს „ხელშეკრულების“ 5.5 მუხლით განსაზღვრული აუდიტორული დასკვნა;“	b) For the purposes of confirming the fulfillment of the obligation set out in sub-article b) of the Article 4.1.1 of the Agreement submit to the Seller the audit report envisaged in Article 5.5 of the Agreement no later than 45 (forty-five) calendar days from the expiration of the term of the fulfilment of the obligation set out in sub-article a) of the Article 4.1.1 of the Agreement.

1.3. „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 5.6 და 5.7 მუხლები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:	**1.3 Article 5.6 and 5.7 of the Sales Agreement shall be amended and restated as follows:**
„5.6 „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „მყიდველის“ მიერ „ქონების“ გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი“ ვალდებულია „ქონება“ ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებით“. ახალი მესაკუთრე სრულად ჩაენაცვლება „მყიდველს“ „ხელშეკრულებაში“. ამასთან, „ქონების“ გასხვისებამდე ახალი მესაკუთრის მიერ „გამყიდველს“ უნდა წარედგინოს შესაბამისი საბანკო გარანტია. „ქონების“ გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს“;	5.6 If during the term of the Agreement, the Purchaser alienates the Property after the payment of the Privatization Sum provided in the Agreement, the Purchaser shall alienate the Property under the same conditions as foreseen in the Agreement. New owner will completely novate the "Purchaser" in the Agreement. Thus, before the alienation of the Property new owner shall submit to the Seller relevant bank guarantee. The Seller shall be notified in writing about the alienation of the Property.
5.7. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის“ გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „მყიდველის“ მიერ „ქონების“ ნაწილობრივ გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი“ ვალდებულია ქონების ნაწილი ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია „ხელშეკრულებით“. ასეთ შემთხვევაში, ახალი მესაკუთრე „მყიდველთან“ ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. ამასთან, „ქონების“ ნაწილობრივ გასხვისებამდე „გამყიდველს“ უნდა წარედგინოს შესაბამისი საბანკო გარანტია, რომლითაც „მყიდველთან“ ერთად პრინციპალად განსაზღვრული იქნება ახალი მესაკუთრე ან შესაბამისი გარანტის წერილობითი დასტური, რომ საბანკო გარანტიის საფუძველზე „გამყიდველის“ (ბენეფიციარის) მიერ მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, „მყიდველის“ (პრინციპალის) სოლიდარული პასუხისმგებლობის მიუხედავად, გარანტი შეასრულებს „გამყიდველის“ (ბენეფიციარის) მოთხოვნას სრულად. „ქონების“ ნაწილის გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს“.“	5.7. If during the term of the Agreement, the Purchaser alienates the part of the Property after the payment of the Privatization Sum provided in the Agreement, the Purchaser shall alienate the part of the Property to a third party under the same conditions as foreseen in the Agreement. In such case, the new owner shall be jointly liable with the Purchaser for the fulfillment of the obligations under the Agreement. Thus, before the alienation the part of the Property relevant bank guarantee shall be submitted to the Seller, under which new owner shall be determined as the principal along with the Purchaser or the written confirmation of the guarantor that if the Seller (beneficiary) presents the claim under the bank guarantee, guarantor shall fully satisfy the claim of the Seller (beneficiary) regardless the joint liability of the Purchaser (principal). The Seller shall be notified in writing about the alienation of the part of the Property.
1.4. „ნასყიდობის ხელშეკრულების“ მე-5 მუხლის შემდეგ დაემატოს 5^1 მუხლი (საბანკო გარანტია):	**1.4 Article 5^1. (Bank Guarantee) shall be added after Article 5 of the Sales Agreement:**
მუხლი 5^1. საბანკო გარანტია	**Article 5^1. Bank Guarantee**
5^1.1. სს „საქართველოს ბანკის“ (ს/ნ 204378869) მიერ 2022 წლის 3 თებერვალს გაცემული №PE73109616-22 საბანკო გარანტია (შემდეგში -	5^1.1. Bank guarantee №PE73109616-22, issued by JSC Bank of Georgia (I/N 204378869) on February

„საბანკო გარანტია") (სააგენტოში რეგ.: №15015/05) უზრუნველყოფს „ხელშეკრულების" 4.1.1 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას (მათ შორის, ამავე ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას).	3, 2022 (hereafter "Bank Guarantee") (Reg.at the Agency N15015/05) secures the fulfilment of obligations set under the Article 4.1.1 of the Agreement (including the payment of penalties imposed for the non-fulfilment of the said obligations).
5^{1}.2. „მყიდველი" ვალდებულია „საბანკო გარანტიის" თანხის ოდენობის შემცირების შემთხვევაში 1 (ერთი) თვის ვადაში შეავსოს იგი მის სრულ ოდენობამდე.	5^{1}.2. In case of reducing of the Bank Guarantee amount the Purchaser is obliged to replenish the Bank Guarantee within 1 (one) month.
5^{1}.3. „მყიდველის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად „გამყიდველის" მხრიდან, „ხელშეკრულების" 6.6. და 6.7 მუხლების შესაბამისად, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, „საბანკო გარანტიის" თანხა სრულად ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში."	5^{1}.3. In case the Seller terminates the Agreement under Articles 6.6 and 6.7 of the Agreement, due to Purchaser's failure to fulfill the undertaken obligations, the full amount of Bank Guarantee transfers in state budget.
1.5. „ნასყიდობის ხელშეკრულების" 6.1. მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:	**1.5. Article 6.1. of the Sales Agreement shall be amended and restated as follows:**
„6.1. „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველი" იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა (რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების (მათ შორის, პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი მოქმედი საბანკო გარანტიის ვადას), პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების შესახებ და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც პირგასამტეხლოს თანხა უნდა იქნეს გადახდილი."	6.1. If the Purchaser fails to fulfill the obligations undertaken by the Agreement the Purchaser shall receive a written warning defining the term for remedying a breach (that shall not exceed the term of the Bank Guarantee submitted to secure the fulfilment of obligations set under Agreement (including the payment of penalties)), obligation to pay the penalties and the details of the bank account for the payment of the penalties.
1.6. „ნასყიდობის ხელშეკრულების" 6.3. მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:	**1.6 Article 6.3. of the Sales Agreement shall be amended and restated as follows:**
„6.3. „ხელშეკრულების":	6.3 If the Purchaser:
ა) 4.1.1 მუხლის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;	a) fails to fulfill or fulfills unduly the obligation set forth in Sub-article a) of the Article 4.1.1 of the Agreement the penalty is imposed on the Purchaser in the amount of 500 (five hundred) Georgian Lari for each day of delay from the date of the breach.
ბ) 4.1.1 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული	

ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.05%- ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე."	b) fails to fulfill or fulfills unduly the obligation set forth in Sub-article b) of the Article 4.1.1 of the Agreement the penalty is imposed on the Purchaser in the amount of 0.05% of the remaining investment on each day of delay.
1.7. „ნასყიდობის ხელშეკრულების" 6.4. მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:	**1.7. Article 6.4. of the Sales Agreement shall be amended and restated as follows:**
„6.4 „ხელშეკრულების" 4.1.2 მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული თითოეული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე."	6.4 If the Purchaser fails to fulfill or unduly fulfills obligation set forth in sub-articles a) and b) of the Article 4.1.2. of the Agreement the Purchaser shall pay a penalty in the amount of 50 (fifty) Georgian Lari for each day of delay from the date of the breach for each obligation.
1.8. „ნასყიდობის ხელშეკრულების" 6.5. მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6.5^1 მუხლი:	**1.8. Following Article 6.5^1 shall be added after the Article 6.5. of the Sales Agreement:**
„6.5^1 „ხელშეკრულების" $5^1.2.$ მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისა ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო საბანკო გარანტიის შესავსები თანხის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე."	6.5^1 If Purchaser fails to fulfill or fulfills unduly the obligation set forth in Article $5^1.2.$ of the Agreement the penalty is imposed on the Purchaser in the amount of 0.01% of outstanding replenishment amount on each day of delay from the date of the breach.
მუხლი 2.	**Article 2.**
2.1. „ნასყიდობის ხელშეკრულებაში" წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულებით" შესული ცვლილებები არ ცვლის „ნასყიდობის ხელშეკრულების" სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები რჩება უცვლელი.	2.1. Amendments made to the Sales Agreement by the Amendment Agreement do not alter the content of other articles of the Sales Agreement. All the other rights and obligations of the Parties remains the same.
2.2. „ნასყიდობის ხელშეკრულებაში" განხორციელებული ცვლილებები მიიჩნევა „ნასყიდობის ხელშეკრულების" შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება „ნასყიდობის ხელშეკრულების" განმარტების დროს.	2.2. Amendments to the Sales Agreement are considered as an integral part of the Sales Agreement and shall be taken into account for the interpretation of the Sales Agreement.
მუხლი 3.	**Article 3.**
3.1. წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულება" ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.	3.1. This Amendment Agreement enters into force

3.2. „მყიდველი“ ვალდებულია დაფაროს წინამდებარე ხელშეკრულების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდეგში - „საჯარო რეესტრი“) რეგისტრაციის ხარჯი.	upon signature by the parties. 3.2 The Purchaser bears the cost of the registration of this agreement at LEPL National Agency of Public Registry (Hereafter – “Public Registry”).
3.3. წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულება“ შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა „მხარეებსა“ და „საჯარო რეესტრს“.	3.3 This Amendment Agreement is executed in 3 (three) copies having equal legal force, which shall be transferred to the Parties and the Public Registry.
3.4 წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომელთა შორის სხვაობის შემთხვევაშიც უპირატესობა ენიჭება ქართულ ვარიანტს.	3.4 The Agreement is executed in Georgian and English languages, in the event of discrepancy the Georgian version shall prevail.
„გამყიდველი“ **სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“** წარმომადგენელი **ქეთევან ჯანელიძე /** ქეთევან ჯანელიძე	**“Seller”** **LEPL “National Agency of State Property”** Representative **Ketevan Janelidze /** ქეთევან ჯანელიძე
„მყიდველი“ **შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთის“** წარმომადგენელი **ირაკლი ხვთისიაშვილი /** ირაკლი ხვთისიაშვილი	**„Purchaser“** **„Fujin Silk Properties“LLC** Representative **Irakli Khvtisiashvili /** ირაკლი ხვთისიაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

16891357934622

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220079605

რეგისტრაციის თარიღი

27.01.2022 წ

ნოტარიუსი: ლია გოგია
მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 46
ტელეფონი: 2997950

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცდაორი წლის ოცდაშვიდ იანვარს მე, ნოტარიუსს ლია გოგიას სანოტარო ბიუროში მდებარე ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #46, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **ჯონ დიამან ტეო დოდელანდ**, ვინაიდან ის არ ფლობს ქართულს და ფლობს ინგლისურ ენას, სურს რომ მისი თარჯიმნის ფუნქცია შეასრულოს თარჯიმანმა **თეიმურაზ ბრეგაძემ**. **ჯონ დიამან ტეო დოდელანდმა** განაცხადა, რომ არის **შპს " ფუჯინ სილქ ფროფერთის"-ის** (ს/კ#405273421, იურიდიული მისამართი: თბილისი, საბურთალოს რ-ნი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71, ოფისი28) დირექტორი და ასევე დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი, ამჟამად იმყოფება ქ. ლონდონში და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში **ნინო გიბონსის** მიმართ მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამდგენი დოკუმენტით და სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ჯონ დიამან ტეო დოდელანდმა** (დაბადებული 04.09.1988 წ., პ/#01101125904, პასპორტი#11AB78460, გაცემული 11.12.2013 წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, გაცხ. მის: **თბილისი გიორგი ათონელის ქ. N 23 ფ. 19**) მომმართა. მე დავადგინე **მისი** უფლებამოსილება ამონაწერით, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი: 21/02/2020 17:49:31, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B20018664, საიდენტიფიკაციო კოდი: 405273421.

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ: **მაკა ჟორჟოლიანი** (დაბ. 14.07.1989 წ., პ/ნ 60031005163, რეგ.მისამართი: **ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 8, ბინა 2**), როგორც ხელმომწერი, **ირაკლი ლობჟანიძე** (დაბადებული 23.07.1995 წ., პ/#01005015963, რეგ. მისამართი: **თბილისი რაფიელ აგლაძის ქ. N 34 კორ. 2 ბ. 30**), როგორც მოწმე და **თეიმურაზ ბრეგაძე** (დაბად. 25.10.1950წ., პ/01012010771, რეგ. მის.:. ქ. თბილისი, ვაზისუბნის 1 მ/რ, კორპ. 17, ბ.39), როგორც თარჯიმანი.

მხარეები, თარჯიმანი და მოწმე გაფრთხილებულები იყვნენ თარჯიმნობის და მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, იმის შესახებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილე არ უნდა იყოს რომელიმე მხარის ნათესავი აღმავალი და დამავალი ხაზით მესამე რიგით. თარჯიმანი გავაფრთხილე იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მოყვება არასწორ თარგმანს. თარჯიმანმა **თეიმურაზ ბრეგაძემ** წარმოადგინა სერთიფიკატი გაცემული 30.10.2012წ., ბრიტანეთის საბჭოს მიერ და განაცხადა, რომ პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეობა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. მე, ნოტარიუსმა ლია გოგიამ თარჯიმნის მეშვეობით დავადგინე **მიმნდობის** ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის პროექტი, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, რის შემდგომაც, **მიმნდობმა** ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით მიკარნახა შემდეგი შინაარსის მინდობილობა.

მინდობილობა

"მე, **ჯონ დიამან ტეო დოდელანდმა** როგორც **შპს " ფუჯინ სილქ ფროფერთის"-ის** (ს/კ#405273421) დირექტორი და ასევე დამფუძნებელი პარტნიორი, საწესდებო კაპიტალის 100% წილის მფლობელი, **ნინო გიბონსს** (დაბადებულიი 06.12.1978 წ., პ/#37001003035) ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

1) წარმოადგინოს შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთის" ნებისმიერი სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში მათ შორის და არა მხოლოდ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და ბანკებში.
2) ჩემი სახელით იმოქმედოს როგორც შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთის" ერთპიროვნულმა პარტნიორმა, მიიღოს გადაწყვეტილებები პარტნიორთა კრებაზე, ხელი მოაწეროს პარტნიორთა კრების ნებისმიერ ოქმს, დაარეგისტრიროს ის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც წარმოადგენს პარტნიორთა უფლებამოსილებას კომპანიის წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის და არამხოლოდ მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერი ფორმით კომპანიის კაპიტალში შენატანის განხორციელების თაობაზე, მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერი სახის აუქციონში/ტენდერში მონაწილეობის თაობაზე და ამ მიზნებისთვის განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება, მოაწეროს ხელი ნებისმიერ დოკუმენტს, ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში გადარიცხოს ანდა შეიტანოს ნებისმიერი ოდენობის თანხა, წარადგინოს ნებისმიერი დოკუმენტი.

3) ჩემი სახელით განახორციელოს შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთის“-ის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დირექტორისათვის მინიჭებული ნებისმიერი უფლებამოსილებები. წარმოადგინოს შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთის“ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ნებისმიერ საბანკო დაწესებულებებში მათ შორის და არამხოლოდ საქართველოს ბანკსა და ლიბერთი ბანკში (გახსნას და/ან დახუროს, ნებისმიერი სახის საბანკო ანგარიში (მათ შორის შემნახველი, საკრედიტო, დეპოზიტური, ანგარიშსწორების და სხვა), მოახდინოს ინტერნეტ ბანკინგის რეგისტრაცია, მიიღოს ინტერნეტ ბანკინგის კოდი, მიიღოს დიჯიპასი, ისარგებლოს ინტერნეტ ბანკინგის მომსახურებით. ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ მიიღოს ნებისმიერი ოდენობისა და ნებისმიერი სახის საბანკო გარანტია/წერილი და განსაზღვროს აღნიშნული გარანტიის/წერილის ვადა, ოდენობა და სხვა ნებისმიერი საჭირო პირობა. კომპანიის ანგარიშებზე აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, მათ შორის, მოხსნას, ჩარიცხოს და გადარიცხოს ანგარიშებიდან თანხები, მოახდინოს ვალუტის კონვერტაცია, მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი ტიპის საბანკო დავალიანების შესახებ, მიიღოს ნებისმიერი სახის ამონაწერი, საბანკო ჩეკი, ცნობები, შეუკვეთოს და მიიღოს ნებისმიერი სახის პლასტიკური ბარათი თანმხლები დოკუმენტებითა და კოდებით) და ნებისმიერ სახელმწიფო და არა სახელმწიფო ორგანოში.

4) რწმუნებული უფლებამოსილია შეიძინოს და მართოს (გაყიდოს, გააჩუქოს, დატვირთოს ვალდებულებით) შპს „ფუჯინ სილქ ფროფერთის“ -ის სახელით ნებისმიერი უძრავი ანდა მოძრავი ქონება. რწმუნებული უფლებამოსილია გადაიხადოს ნებისმიერი გადასახადი და ბაჟი, აგრეთვე, განახორციელოს ნებისმიერი სხვა ქმედება, რაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მინდობილობით, მაგრამ აუცილებელია მინდობილობით განსაზღვრული უფლებამოსილებების შესასრულებლად.

მინდობილობა ძალაშია 01/01/2024 წლამდე“

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა ლია გოგიამ, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე მიმნდობს. მიმნდობმა დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მინდობილობის დადასტურების დროს იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობის ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს **მაკა ჟორჟოლიანს.**
მაკა ჟორჟოლიანმა და **ირაკლი ლობჟანიძემ** წაიკითხეს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი ქართულ და რუსულ ენებზე შედგენილ მინდობილობას.
მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება ლია გოგიას სანოტარო საქმეებში, ხოლო დანარჩენი გადაეცა “მინდობილ პირს”. მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ლია გოგიას სანოტარო ბიუროში, თან ერთვის **შპს “ ფუჯინ სილქ ფროფერთის”-ის** ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
“სანოტარო მოქმედებათა” ინსტრუქციის 52-ე მუხლის მე-5 პუნქტი და “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება #507-ის 32-ე მუხლის საფუძველზე 100,00 (ასი) ლარი და ასევე 39-ე მუხლის თანახმად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2,00 (ორი) ლარი.

მიმნდობის ნაცვლად მისივე თხოვნით
ხელს აწერს მაკა ჟორჟოლიანი:.....

მოწმე ირაკლი ლობჟანიძე:.....

თარჯიმანი თეიმურაზ ბრეგაძე:.....

ნოტარიუსი ლია გოგია:

NOTARY DEED
GEORGIA

On this twenty-seventh day of January, two thousand and twenty-two, I, Lia Gogia, the notary, at my notary office located at 46, Rustaveli Ave., Tbilisi, was addressed through the electronic communication means by **John Diamant Theo Dodelande**. Since he did not speak Georgian, but spoke English, at his request as a translator served **Teimuraz Bregadze**. **John Diamant Theo Dodelande** declared that he was that he was the director, as well as the founder and owner of 100% of shares of the company **Fujin Silk Properties LLC** (ID 405273421, registered address: Tbilisi, Saburtalo District, Vazha-Pshavela Ave. #71, Office 28), he was staying in London/UK and wished in online mode to draw up and notarize a power of attorney granting necessary authority on behalf of the director of the company to **Nino Gibbons**.

I verified the identity of the participant of this notary deed through the documents presented by him and the electronic database of the Civil Registry Agency, LEPL, and was satisfied that I was actually addressed by **John Diamant Theo Dodelande** (born on 04.09.1988, personal #01101125904, passport #11AB78460, issued by the Ministry of Justice on 11.12.2013; declared address: Tbilisi, Giorgi Atoneli St. 23, Apt. 19).

I checked **John Diamant Theo Dodelande's** authority through the extract from the Registry of Entrepreneurial and Non- Entrepreneurial (Non-Commercial) Legal Entities of 21/02/2020 17:49:31, Application Registration # B20018664, ID 405273421.

The notary deed was witnessed by **Maka Zhorzholiani** (born on 14.07.1989, personal # 60031005163 registered address: Tbilisi, Akaki Tsereteli Ave. #8, Apt. 2), as the signer of the document, and **Irakli Lobzhanidze** (born on 23.07.1995, personal # 01005015963, address: Tbilisi, Rafiel Agladze St. 34, Cor. 1, Apt.30) as a witness, and **Teimuraz Bregadze** (born on 25.10.1950, Personal # 01012010771, residing in Tbilisi, Vazisubani 1st M/R, Corp. 17, Apt. 39), as the translator.

I warned the witness and the translator about the circumstances that would be in contrast with their functions as a witness and a translator, in particular, that a participant of a notary deed is not allowed to be a relative of up to the 3rd order in ascending or descending line of any party.

I warned the translator about his responsibility for the correctness of the translation. The translator, **Teimuraz Bregadze** presenting the Certificate issued by the British Council on 26.03.2010 and confirmed that he took responsibility for the correctness of the translation.

I testify that there was no reason to doubt in the capacities of the participants of this notary deed. I explained to the participants the content of this notary deed as well as the legal consequences proceeding from it. After that **John Diamant Theo Dodelande,** in the presence of the signer and witness, dictated the following text of the power of attorney.

POWER OF ATTORNEY

"I, **John Diamant Theo Dodelande**, as the director, founder and owner of 100% of shares of the company **Fujin Silk Properties LLC** (ID 405273421), later on the Principal, do grant authority to **Nino Gibbons** (British citizen, Passport N: 546262382, Date of birth: 06.12.1978), later on the Agent, to execute powers listed below:

1) To represent **Fujin Silk Properties LLC** before any governmental and non-governmental institutions, including but not limited to National Agency of Public Registry and banks.
2) To act on my behalf as a sole partner of **LLC "Fujin Silk Properties",** make decisions at the partners' meeting, sign any partners' meeting minutes, register it at the National Agency of Public Registry, make any decisions that according to the company's charter and applicable Georgian laws fall under the authority of the partners, including but not limited to make decision on making contribution into the capital of the Company in any forms, make decision on taking participation in any kind of auction/tender and for this purpose carry out any necessary actions, sign any documents, transfer and/or pay in cash any amounts in any institutions, submit any documents.
3) To exercise any authorities granted to the director according to the charter of LLC **"Fujin Silk Properties"** and the Georgian Laws. To represent **"Fujin Silk Properties"** LLC at National

Agency of Public Registry, any banking institutions, including but not limited to Bank of Georgia and Liberty Bank (to open and/or close any bank accounts (including: savings, credit, deposit, settlement accounts, etc) at any bank in Georgia, to register Internet Bank, to receive Internet Bank code, to receive DigiPass, to use Internet Bank Service. To obtain any type of Bank Guarantee/Letter in favor of any third parties in any amounts and to define the validity period, amount, and any other necessary conditions of mentioned Guarantee/Letter. To execute any banking operations in the Company's accounts, including to withdraw, to deposit and to transfer amounts, to convert currency, to receive information about any kinds of bank indebtedness, to receive any kinds of bank statements, bank cheque, references, to order and receive any type of plastic card, with accompanying documents and codes) and at any governmental and non-governmental body.

4) The Agent shall be authorized to purchase and manage (to sell, grant, incumber with liabilities) any real and/or movable properties on behalf of LLC **"Fujin Silk Properties"**. The Agent shall be authorized to pay any fees and duties, and also undertake any other action(s) that is not directly indicated in the present Power of Attorney but is essential for fulfillment of the above-mentioned powers.

The Power of Attorney is valid till 01/01/2024.

This text of this power of attorney was taken down by me, the notary. I read it through the interpreter to the Principal in online mode. The Principal confirmed that the text of the power of attorney exactly expressed his will and that he authorized **Maka Zhorzholiani** to sign the power of attorney on his behalf.

Irakli Lobzhanidze and **Maka Zhorzholiani** read and signed this power of attorney drawn up in Georgian and English languages in my presence.

The Power of Attorney has been drawn up in three equal copies, one of which is kept at the notary archive of Lia Gogia, and the others were handed to the Attorney. To the copy kept in the notary archive the extract from the registry about **Fujin Silk Properties LLC** is annexed.

Paid notary fee of 100.00 (one hundred) GEL (in compliance with Article 52 Clause 5 of the Instructions for Notary Actions and Article 32 of Decree #507 "On payments for notary services" of the Government of Georgia of 29 December 2011) + registration fee of 2.00 (two) GEL (according to Clause 39 of the same Decree).

On behalf of the Principal and at his request signed by

Maka Zhorzholiani,: _____

Irakli Lobzhanidze, the Witness: _____

Teimuraz Bregadze, the Translator _____

Lia Gogia, Notary _____


აკინძულია
ფურცლად
ნოტარიუსი
ლია გოგია

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
10902757624923

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230410719

რეგისტრაციის თარიღი

30.03.2023 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 591709917

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუსი, ირმა შარვაძეს შემცვლელი პირი მარიამ გინტური, სანოტარო ბიურო, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას #42-ში, მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად გაგარინის 29ა-ში, სადაც მომმართა **ზურაბ ქოქოსაძემ**, რომელმაც განაცხადა, რომ არის სს საქართველოს ბანკის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) გენერალური დირექტორის მოადგილე, რაც დასტურდება სს საქართველოს ბანკის ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (რომელიც ინახება ჩემს არქივში) და რწმუნებულებით, გაცემული სს საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის არჩილ გაჩეჩილაძის მიერ მიერ 21.02.2023 წ. დამოწმებული ნოტარიუს ირმა შარვაძის მიერ, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N230224510 (რომელიც ინახება ჩემს არქივში). **ზურაბ ქოქოსაძემ** მოითხოვა რწმუნებულების შედგენა **სანდრო ძაგნიძის** სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **ზურაბ ქოქოსაძეს** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პასპორტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ზურაბ ქოქოსაძემ** (დაბადებული 25.11.1982 წ. ქ. სოხუმი, პირადი ნომერი: 62001032255, მცხოვრები თბილისი სამგორი III მასივი IX კვ. კორ. 2 ბ. 1) მომმართა, დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. აგრეთვე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ **ზურაბ ქოქოსაძემ** ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო ერთი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია საზღაური 30.00 ლარი, + სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 35.00 ლარი დღგ 11,70 ლარი, რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურებისადების დამტკიცების შესახებ") 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

რწმუნებულება

ს. სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე **ზურაბ ქოქოსაძე** (შემდგომში - მარწმუნებელი), **სანდრო ძაგნიძეს** (პირადი ნომერი: 01024067583; შემდგომში - რწმუნებული), ვანიჭებ უფლებამოსილებას, რათა მან მარწმუნებლის (სს საქართველოს ბანკის) სახელით:

1. დადოს, გააფორმოს და ხელი მოაწეროს (მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით (მათ შორის ელექტრონული ხელმოწერით):

1.1. გენერალური საკრედიტო ხაზის, საკრედიტო ხაზის, საბანკო კრედიტის, ოვერდრაფტის და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები) 5,000,000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში;

1.2. საბანკო გარანტიის, დეპოზიტის, აკრედიტივის, სტენდბაი აკრედიტივის, დოკუმენტალური ინკასოს, ფაქტორინგის, ესქრო, სუბორდინაციის, ვალის გადაკისრების, მოთხოვნის დათმობის და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები) 1,000,000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში;

1.3. ინფორმაციის კონფიდენციალურობის ან/და საბანკო პროდუქტ(ებ)თან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

1.4. იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ხელშეკრულებები ან/და ნებისმიერი სხვა სახის უზრუნველყოფის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ი/ხელშეკრულება(ები)/ შეთანხმება(ები)/გარიგება(ები);

2. წინამდებარე რწმუნებულების 1.1, 1.2, 1.3 და 1.4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ებ)ში/შეთანხმება(ებ)ში/გარიგება(ებ)ში შესატანი ნებისმიერი სახის ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის (გარდა 1.1 და 1.2 ქვეპუნქტებში მოცემულ დოკუმენტ(ებ)ში/ხელშეკრულება(ები)ში/შეთანხმება(ები)ში/გარიგება(ები)ში თანხის ცვლილებისა, თუ აღნიშნული ცვლილებით გათვალისწინებული ნებისმიერი გარიგების თანხა გადააჭარბებს წინამდებარე რწმუნებულების 1.1. და 1.2 ქვეპუნქტებით განსაზღვრულ თანხობრივ ლიმიტს) შესახებ შეთანხმებ(ებ)ი ან/და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის განცხადება(ები)/წერილ(ებ)ი.

3. წინამდებარე რწმუნებულების 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში:

3.1. წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ მესამე პირთან, საჯარო ან/და კერძო ორგანიზაციებში/დაწესებულებებში, აგრეთვე სანოტარო ბიუროში;

3.2. ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჯარო ან/და კერძო პირისთვის წარსადგენ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას/კორესპონდენციას/განცხადებ(ებ)ს/წერილ(ებ)ს, მათ შორის და არა მხოლოდ, მარწმუნებლის სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლების გაუქმების ან გაუქმების დაპირების წერილებს;

სარეგისტრაციო ორგანოებში/დაწესებულებებში სარეგისტრაციოდ წარადგინოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება(ები)/შეთანხმება(ები)/გარიგება(ები)/განცხადება(ები)/ წერილ(ებ)ი/დოკუმენტაცია.

მინდობილობა გაცემულია 2024 წლის 1 აპრილამდე.

მარწმუნებელი

ზურაბ ქოქოსაძე _____

ნოტარიუსი _____

საქართველოს ბანკი
ბიზნესი

№ OC2310282

11 12 2023

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

სს საქართველოს ბანკი (ს/კ 204378869) (შემდგომში - **ბანკი**) წარმოდგენილი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ **ბანკი**, როგორც იპოთეკარი, თანახმაა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №01.19.30.001.261 (შემდგომში - **იპოთეკის საგანი**) (მესაკუთრე: შპს ფუჯინ სილქ ფროფერთის, საიდენტიფიკაციო ნომერი: 405273421) დაზუსტებული ფართობი: 12653.00კვ.მ. მისამართი: ქალაქი თბილისი, აეროპორტი) სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი AR11002561 განაცხადის შესაბამისად გაიცეს შეთანხმებული პროექტის ცვლილების და მშენებლობის ნებართვა (შემდგომში - **ნებართვა**). ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზემოაღნიშნულ **იპოთეკის საგანზე ბანკის** სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნებისმიერი/ყველა უფლება(ები) (მათ შორის, როგორც არსებული ისე სამომავლო) სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება. ამასთან, ასეთი უფლებები სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება მათ შორის იმ უძრავ ნივთებზეც, რომელიც **იპოთეკის საგანზე ნებართვის** საფუძველზე განხორციელებული/განსახორციელებელი ცვლილების შედეგად წარმოიშობა/დარეგისტრირდება.

პატივისცემით,

სანდრო ძაგნიძე

კორპორაციული საბანკო მომსახურების
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე